სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080104848866120

№ 5331

21 / დეკემბერი / 2020 წ.

სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 17 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ SMP200005409 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამის მომსახურეობა (student.batu.edu.ge) (CPV72200000 - პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებები), ღირებულებით - 12000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“ 2018 წლიდან სარგებლობს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემით, რომელიც შემუშავებულია/ შექმნილია შპს „ini.ge ჯგუფი“-ს მიერ. აღნიშნული პროგრამა ადაპტირებულია უნივერსიტეტის აკადემიურ და სასწავლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან, შპს „ini.ge ჯგუფი“-ს სერვერზე განთავსებულია ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემის დომეინი student.batu.edu.ge (რომელიც მათივე შექმნილია). სისტემის პროგრამული კოდი არის მიმწოდებლის საკუთრება და ინახება მათივე სერვერზე. შესაბამისად, მათი ექსკლუზიური უფლებაა მათივე პროგრამით უნივერსიტეტის პროგრამული უზრუნველყოფა/მომსახურება.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით ხორციელდება უნივერსიტეტის სასწავლო და აკადემიური პროცესის სრული ელექტრონული მართვა და სხვადასხვა სტუდენტური ფორმებისა და ცნობების გაცემა. ალტერნატიული პროგრამის დანერგვა უნივერსიტეტში დაკავშირებული იქნება, როგორც დროის, ასევე ფინანსების გაუთვალისწინებელ ხარჯებთან. რადგან საჭირო გახდება არსებულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გადატანა ახალ პროგრამაში და კადრების გადამზადება, რაც გამოიწვევს უნივერსიტეტის სასწავლო და სამუშაო პროცესის შეფერხებას. ამასთან, სტუდენტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ფორმა ინტეგრირებულია მათივე სისტემაში. ასევე მუდმივად ხდება სისტემაში სხვადასხვა სახის პროგრამული მოდულების განახლება/დამატება, უმაღლესი განათლების შესახებ კანონისა და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ცვლილებების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, შპს „ini.ge ჯგუფი“-ს გააჩნია ექსკლუზიური უფლებამოსილება მიაწოდოს სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის მომსახურება, რამდენადაც აღნიშნული სისტემა შექმნილია შპს „ini.ge ჯგუფი“-ს მიერ, ამასთან, შპს „ini.ge ჯგუფი“-ს სერვერზე განთავსებულია ხელოვნების უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემის დომეინი „student.batu.edu.ge“. სისტემის პროგრამული კოდი არის შპს „ini.ge ჯგუფი“-ს საკუთრება და ინახება მათივე სერვერზე. შპს „ini.ge ჯგუფი“-ს მიერ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაზე საავტორო უფლების ფლობა დასტურდება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“-ს მიერ გაცემული № 6823 მოწმობით. ამასთან, არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის“ SMP200005409 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად ლევან რაზმაძე